



№ 3 თბილისი თეატრალი 1959

**საზოგადოებრივი**

გამოცემის XXXVII წელი ფასი 2 ზან.

კომუნისტური ოპარის თეატრი

— რას იტყვი პირველი აქტის შესახებ?  
 — დამთავრდება და ყველა აქტს ერთად თვით ამბროსი ივანი-  
 ჩი დაახეინებს.

ნახ. ჯ. ლოლობაში



მ ა კ ლ რ თ ა ბ ჭ ო ბ ა

ნაბ. გ. ლოლუასი

— ეჰ, ჩემო ძმაო, ამ შვიდწლედში იმდენი სახლი აშენდება, რომ აღარავის დავჭირდებით მერე.  
— ზოდა, ჩემო გეორჯ, ჩვენც იქამდე უნდა მოვასწროთ აშენება.

## და ასეც მოხდა

იყო და არა იყო რა, იყო ერთი რედაქცია, როგორ არ იყო. როგორც ყველა რედაქციას, მასაც ყავდა თანამშრომლები, რედაქტორიც. წესიერი, უადრესად განათლებული, შრომისმოყვარე ხალხი. იმდენად ზრდილნი იყვნენ, რომ მოყვასთა ცუდს ვერ დააცდენინებდი, თუმცა, უკეთესად და-პირდაპირ რომ ითქვას, ვერ დააბეჭდვინებდი, თორემ ლაპარაკში თვითონვე ქილიკობდნენ: «უვიცია», «ეგ ხომ მწერალი არ არის», «მჯღაბნელია», «პროვინციელია», «მაგის მწერლობა ვინა თქვა», «ვინც მაგას მწერლობა ურჩია...» და ასე შემდეგ და დაუსრულებელივ. რედაქციის ყველა თანამშრომელი კრიტიკულ წერილებს (ცოცხალ ავტორებს თუ ეხებოდა) ისე დაფატრავდნენ ხოლმე, რომ კარგ ქირურგს შეშურდებოდა, შემდეგ ტკბილ, მოშაქრულ სიტყვებს ჩაუმატებდნენ და წერილის ავტორს იხმობდნენ. თუ ისიც უპრინციბო ან უფულო კაცი იყო, ასე გადაკეთებულ წერილის დაბეჭდვაზე აუცილებლად დათანხმდებოდა. თუ არა და ნახვამდის, ამბაკო და მისო ხაბაკო; დღის სინათლე ვერ იხილოს შენმა ნაწერმა.


ერთხელ, გამიწყრა ღმერთი და ერთი სახელმწიფო მწერლის უვარგის ნაწარმოებზე (კარგ, სახელოვან და გამოჩენილ მწერლებსაც აქვთ აქა-იქ ცუდი ნაწარმოებები, ხანდახან ესეც ხდება) დავწერე მართალი სიტყვა. უნდა გითხრათ, რომ მრავალი სხვადასხვა წერილის ავტორი ვარ და არ მახსოვს ჩემთვის წერილი დაეწუნებინოთ. მაინც, რაკი წერილი ცოცხალ და ისიც სახელოვან ავტორს ეხებოდა, რამდენიმე მწერალსა და კრიტიკოსს, ისეთებს, ჭკუა რომ ეკითხებათ, წავაკითხე. მათის აზრით, წერილი საესეებით «მისაღები», «დროული», «სწორი» და «შესანიშნავი» კი იყო. გათამამებულმა წერილი რედაქციაში მივიტანე, როგორც გამოცდილმა კაცმა წერილი რედაქტორს ჩავაბარე, რადგან ვიცოდი მის წასაკითხავად სარედაქციო კოლეგიის წევრები მაინც ვერ

მოიკლდნენ. რედაქტორი წერილს გაეცნო და უახლოეს ნომერში დამპირდა დაბეჭდვას. თვეები ერთმანეთს, როგორც ყოველთვის, რიგის მიხედვით მისდევდნენ, მაგრამ ჩემი წერილი ჟურნალის არც ერთ ნომერში არ დაეტია. როგორც შემდეგში შევიტყე, თურმე, მწერლების ყრილობისათვის მზადებას და მასთან დაკავშირებულ მასალებს შეუშლიათ ხელი. თვეებს წლებიც უკან დაედევნენ და ერთხელაც ისევ მივაკითხე რედაქტორს.—დეკადისათვის ვემზადებით და მოსკოვიდან ჩამოსვლისთანავე დაგვებეჭდავ,—დამაიმედა მან. ამ ხნის განმავლობაში მე უკვე შევეჩვიე იმ აზრს, რომ ეს წერილი საერთოდ არ დაიბეჭდებოდა და არც გული მტკენია.

წლების გასვლასთან დაკავშირებით ჩემი წერილი რედაქციაში დაკარგულა. რედაქტორის თხოვნით მეორედ მივიტანე. ერთი ცუდი ჩვეულება მაქვს—კაცი რომ რაიმეს დამპირდება, მართალი მგონია. თვითონ დამიბარა, მითხრა შენი წერილი ახლა უფრო დროულია, რადგან ის ნაწარმოები მაშინ ჟურნალში იბეჭდებოდა, ახლა კი წიგნად გამოვიდა და უნდა გამოვეცხმეაუროთო. ჰოდა, ვინ იცის, მერამდენედ დავუწყე ლოინი მის დასტამბვას.

წერილი მართლაც დაიბეჭდა, მაგრამ ჩემი კი არა, სხვისი. კრიტიკული წერილი კი არა, როგორსაც ეს წიგნი იმსახურებდა, არა, ისეთი, თითქოს მისი ავტორი საბრალმდებლო სკამზე მე დამეგვა და, მიუხედავად იმისა, რომ ჩემი წერილი არ დაბეჭდილა, წერილის ავტორი ჩემს წამოყენებულ დებულებებს ებრძოდა და ავტორს იცავდა.

ნაწარმოების ქება კი თვითონ წერილის ავტორსაც ვერ გაუბედავს და, მის ნაცვლად, ნაწარმოების ავტორს აქებს სახელმწიფო მწერალით და სხვა მისთანანი (ეს ხომ მეც ვიცი). მაგრამ ძველად უთქვამთ—უღელტეხილზე შეცივებული და გათოშილი მნათობმა უნდა გაათბოსო და ასეც მოხდა.



# საბოლოო მეგობარი

შაბათი იყო. მუშაობა აღრე დამთავრდა, ყველას შინსაკენ მიუხაროდა, მხოლოდ მე არ ვჩქარობდი. ცოლ-შვილი ბაკურიანში მყავდა და ცარიელ სახლში მისვლა მეზარებოდა. ერთბაშად ქვისლი გამახსენდა. ისიც ჩემსავით მარტო იყო და ვიფიქრე, ერთად გადავავილოთ-მეთქი სადმე გულს. დავავლე ხელი ყურმილს და ნაცნობი ნომერი ავკრიფე.

— ალლო, გისმენთ!..— მომესმა ყურმილში ქალის სასიამოვნო ხმა.


ჩემი ქვისლი პატიოსანი კაცია, ცოლ-შვილის მოყვარული. ამაში იოტისოდენა ეჭვიც არასოდეს წებპარვია და ახლა, ცოლ-შვილის შინ არყოფნის დროს, მისი სახლიდან ქალის ეს გაწვლილი „ალლო“ რომ მომესმა, მეჩოთირა. ჯერ მინდოდა უთქმელად დამეკიდა ყურმილი, უხერხულ მდგომარეობაში რომ არ ჩამეგდო ჩემი ქვისლი. მაგრამ ცნობისმოყვარეობამ მძლია და რიხიანად ვთქვი:

— იუსტინეს სთხოვეთ ტელეფონთან!..

— ვინ იუსტინეს?.. სად რეკავთ, ბატონო?— სიცილით იკითხა ქალმა.

— მაპატიეთ, ქალბატონო... ჩანს სხვაგან მოვხვდი..

## МАМАЮК



— კიდევ კარგი უიარაღო დაწერილი რომ არის ვხ წიგნი, თორემ არ დახოცავდა ამის დამდგმელებს!

— საბოლოო რა გაქვთ, ბატონო!  
— დიახ, ხდება ზოგჯერ ასე... ჩემს ქვისლს ვურეკავდი და... თქვენ შეგაწუხეთ.

— იუსტინე თქვენს ქვისლს ჰქვია?.. სად მუშაობს?  
მე, რა თქმა უნდა, ამომწურავი პასუხი გავეცი. მერე მან კიდევ რამდენიმე კითხვა მომცა. მე ისევ გავეპასუხე და, ბოლოს, საქმე იქამდე მივიდა, რომ ჩემდა უნებურად იუსტინესთან დარეკვის მიზეზიც გავუმხილე.

— თქვენც მარტო ბრძანდებით, ქალბატონო?—

— სულ მარტო... ქმარი მივლინებოდა.

არ ვიცი რა ბზიკი შემიძერა სულში, ერთბაშად გავთამამდი და ამ უცნობ ქალს კინოში წასვლა შევთავაზე. ქალმა სიამოვნებით მიიღო ჩემი მიპატიჟება და პაემანი დამინიშნა.

დანიშნულ დროს საათის ქვეშ ვიდექი. თვალებს ვაცეცებდი და ვამვლე-ვამომვლელთ ანთებულნი სახით მივჩერებოდი. ვწიშობდი არ გადაეფიქრა პაემანზე მოსვლა. მაგრამ არა, მოვიდა. ქალი კი არა ანგელოსი იდგა ჩემს წინ, კალმით დახატული, ხორცშესხმული ანგელოსი. ახლა უკვე ოფიციალურად გავიცანით ერთმანეთი და ნელა გავყევით პროსპექტს.

— იცით რა... მე მინდა ერთი რამ გითხრა და ძალიან გთხოვთ სწორად გამიგეთ...— საიდუმლო ჩურჩულით მითხრა ჩემმა ახალმა ნაცნობმა.

— ბრძანეთ... გისმენთ!

— ჩემს ქმარს ბევრი ნაცნობი ჰყავს... თქვენც ცოლ-შვილიანი ხართ... ჯობია ცენტრიდან მოშორებულ კინოში წავიდეთ... აი, თუნდაც „ისანში“...

ტაქსში ჩავსხედით და „ისანსაკენ“ გავემართეთ.

მოსაცდელი დარბაზი ხალხით გაჭედული დაგვხვდა. შედარებით მყუდრო ადგილი გამოვძებნეთ და სკამებიც კი ვიშოვეთ.

ჩემს ცოლს რომ ჰკითხოთ, ერთი ენაჩავარდნილი კაცი ვარ. თურმე ნუ იტყვი, რა ძალა ჰქონია ქალის სილამაზეს!.. მისი მშვენიერებით მოჯადოებული ქადაგად დავეცი. ქალი მისმენდა. ჩემს ოხუნჯობაზე გულიანად იცინოდა და, იქ მყოფთა ყურადღება რომ არ მიექცია, ლამაზ სახეს მალ-მალ მელას ბეწვში მალავდა.

ნეტავ იმ წუთებს!.. ჩვენ ორის მეტი თუ არსებობდა ქვეყნად ვინმე, არც კი მეგონა. ვილას ახსოვდა ცოლ-შვილი, ან ნახევარ საუკუნეს მიტანებული წლები, ან შევერცხილი თმა?! ახლა გულს აღარ იკითხავთ!.. გაისმა მესამე ზარი. ხალხი აიშალა, ახმაურდა და ამან გამომარკვია. ჩვენც წამოვდექით სკამებიდან. მოულოდნელად ხელთათმანები დაუვარდა. მე ასაღებად დავიხარე და, როდესაც გავუწოდე, გავზარედი. ქალს ქალადის ფერი ედო, თვალები შეშინებული ჰქონდა, ნიკაპი უთრთოდა და ხელები უკანკალებდა.

— რა მოგივიდათ, ქალბატონო!— ვიკითხე აღელვებულმა.

— გემუდარებით, აღარ დამელაპარაკოთ... აქ ჩემი მუღია!..— თქვა აფორიაქებულმა ქალმა და, სანამ მე სიტყვის თქმა მოვახერხე, ხალხში გაუჩინარდა.

ძნელი ყოფილა ტკბილ სიზმრიდან გამორკვევა. ცეცხლი მომეკიდა. მაგრამ რა გავწყობოდა, თვალი გავუსწორე სინამდვილეს და ნელა გამოვედი კინოთეატრიდან. ამ დროს ვილაცამ მხარზე დამკრა ხელი, სწრაფად მოვბრუნდი, და როგორ ფიქრობთ ვინ იდგა ჩემს წინ?.. იუსტინე იყო, ჩემი ქვისლი.

— იუსტინე, შენ?! აქ რა გინდა?..

— შენ თვითონ რა გინდა აქ!.. მოგექცეს ღრანჭი და დავდოს ჩემი ცოდვა!.. მილასლასებ ხომ მარტოკა იაკეში?.. გავექცა სულიკო?..— აროხროხდა იუსტინე. — გული არ დაგწყდეს, ჩემი გაიქცა... ესეც ბედია, თორემ ამ ქვისლებს რაღა მაინცდამაინც ეს რძალ-მული შეგვხვდა?! დალახვროს ეშმაკმა!..



დღი ძვირფასი კაცო ყოფილა  
კი რვეზორი.  
— საიდან იცი?  
— მაგის მოსვლა ოცი ათასი და-  
რეჯული.

სან. ზ. ლევიაძე

**მისხალ ღღის**  
— თქვენი განცხადება განვიხილოთ  
მაგრამ სხვაუფილოს...  
— გვეძრებით; უფლო დანა არ გა-  
მიხსნათ.  
— ვნახეთ, შემთხვევა ორი ღღის  
შემდეგ.

**ორი ღღის შემდეგ**  
— იმდენი ჩემი განცხადება განვიხი-  
ლო...  
— შერთე კაცოე ითხოვე ადგე... რა  
ვინ? სხვათუ მაწუხებს, რომელი  
თქვენგანია მყოფო?  
— გთხოვი მე მითხრო, ჩემზე ვაჭრე-  
ვებულო სხვა არ იქნება...  
— გაიბრუნებულ? სიღარიბის მიწში-  
ბით, შე კაცო, სამსახურში არავის ვე-  
ხულობ... თუმცა შეიძლება არჩევანი  
შეწევდეს შეტრდებ, შემთხვევა ხშირ  
ღღის შემდეგ უფაოეუდ შეშინა...  
— შეშინაო.

**მოსახლელ ოთახში**  
— რა ნაწენი მიღებარ ადგეო თა-  
ვისუფლია...  
— ე... მითხრო, მითხრო და ხაწე-  
ვად არ ადგეო, აქნებ „ორ ღღის“ შე-  
შინაო, შეშინაო...  
— რა ვაღებრეკელო ყოფილარ, ორ  
ღღისი გამოვლა ორ ათას ნაწენს, შე  
გლახა, ორი ათასი ვერ იწვევ? ახლა  
ხასხასე არ დაგეგრძობა, ჩვენს მხარე-  
ვებს ვაწეოეო კაცო არ უფარა.

**დ. კახიანი**

**ჯანაღირი კაცი და უჯანაღირი ოლია კავაჯაზაზი**

**კახიანი**  
— გთხოვი მიმითხრო სამუშაოს, თუნ-  
დაც მეღვინეა. ინსტრუქტორ ცუდად არ  
დამიხმობაო...  
— კეთილი, შემთხვევა უფა, ვნახო...  
განვიხილო...  
**მისხალ ღღის**  
— თქვენი განცხადება განვიხილოთ  
მაგრამ სხვაუფილოს...  
— გვეძრებით; უფლო დანა არ გა-  
მიხსნათ.  
— ვნახეთ, შემთხვევა ორი ღღის  
შემდეგ.

**ორი ღღის შემდეგ**  
— იმდენი ჩემი განცხადება განვიხი-  
ლო...  
— შერთე კაცოე ითხოვე ადგე... რა  
ვინ? სხვათუ მაწუხებს, რომელი  
თქვენგანია მყოფო?  
— გთხოვი მე მითხრო, ჩემზე ვაჭრე-  
ვებულო სხვა არ იქნება...  
— გაიბრუნებულ? სიღარიბის მიწში-  
ბით, შე კაცო, სამსახურში არავის ვე-  
ხულობ... თუმცა შეიძლება არჩევანი  
შეწევდეს შეტრდებ, შემთხვევა ხშირ  
ღღის შემდეგ უფაოეუდ შეშინა...  
— შეშინაო.

**მოსახლელ ოთახში**  
— რა ნაწენი მიღებარ ადგეო თა-  
ვისუფლია...  
— ე... მითხრო, მითხრო და ხაწე-  
ვად არ ადგეო, აქნებ „ორ ღღის“ შე-  
შინაო, შეშინაო...  
— რა ვაღებრეკელო ყოფილარ, ორ  
ღღისი გამოვლა ორ ათას ნაწენს, შე  
გლახა, ორი ათასი ვერ იწვევ? ახლა  
ხასხასე არ დაგეგრძობა, ჩვენს მხარე-  
ვებს ვაწეოეო კაცო არ უფარა.

**დ. კახიანი**

**საჩინაოეო სახელმწიფო**

**ნ ა რ ვ ი**  
საჩინაოეო სახელმწიფო

**ლონგინოზის ცოლი**  
— უწონო და უფიცი ხარ, მშობრა, გაუხედავი, ზარმაცი, ენაჩავარდნილი, ბრმა.  
მუწევი, არაფერი გავგებდა! — ეუბნებოდა ქმარს.  
ლონგინოზს ბოღმით აღმოხედებოდა:  
— დანა, ბატონო... სწორია... ნამდვილია, ბუმბარატი...  
— შე რომ არ გუყავდე, მეწყერი წაივლიდა. შენი წვერ-რეკელოვანსაც ყვევები გაი-  
კეთებდნენ ზუღებ.  
— დანა, ბატონო...  
— შე გაუხედავი კაცი, დავახედე ქუდი, ჩავაცვი, გავსვი, ვაპაპე...  
— დანა, ქალმწიფო...  
— გასწავლე, ხალხში გამოგუყავდე, აღმანს დავამხვავებ...  
— მართალია, სრული სიბრძნეა...  
— ერთი სიტყვით... მე... მე... დავაბედე...  
— რას მივდ-მითვები, ახლა დედაც ვამბობ... — პირველად ივივრა თავის დღე და  
მისწრება მოთმინებდაც გამოსულმა ლონგინოზმა.

**ბ ა ნ ს ხ ა რ ვ ე ბ ი**  
ბანაოეო ზ. დელიაშვილის სახელობის ობერის  
და ხალხები ითვრის დარეკვა და კოლექტივი ღრმა  
წუხარებით იუფნა, რომ ჩვენზე გამოვიდა და  
აღარ დაბრუნებულა „არსებო“.  
ობერის კოლექტივი და დარეკვა მის მკურნარე-  
ვებს მხატვრული უმართლმად სიბრძნე დანად  
ხაიბელან გულში მისი ხაიბელან სიბრძნე დაბრუნე-  
ბის იმედი დაკარგულია.

**ზაზარის პირველივე სუბსიდიის დაწესებულებიდან**  
გავიდა და აღარ დაბრუნებულა სიბრძნე. მხატ-  
ვრული უმართლმადობის მართის პირველი რიცხვი-  
დანა შერ თეთრი ჰქონდა.

**დაწესებულებაში**  
და ცალკეულ პირიდანგანა დაკ-  
ვეთი დაბრუნდა და ხარისხსადა ვაშაბედი კარგ,  
ღამაზ, მშენებელი, იშვიათი, გაძლეს, საუბრო, ჩი-  
ვულ, დღეებულ, შესანიშნავი ჩეკალები.

**საჩინაოეო სახელმწიფო**



სან. ზ. ლევიაძე

**საჩინაოეო**  
— შავს გათხოვება არ უნდა  
გმობია, ხედავ, რა ბრძოლია?  
— შური იძია, მაგი სხმა და-  
იწუნა და ერთს მანძი ვაღაზუ-  
ბა სხმაგეოეო.

**ორგანიზაციის**  
**მარი მისაგავსი**  
ერთი ფილოლოგი მოდიოდა გზაზე  
და ხელოვნულ დღეეო კონცერტში  
ლუბი მის წინ მანქანა გაიქრდა და ლა-  
მანი ტანსაცმელი ქალ გადმოვიდა.  
— ძეგელო, ვაითიერა ფილოლოგი-  
მა და გვა მოუწოა ქალს:  
— დაუხმარე, ქალბატონო, შედიო  
ჩემს მდებარეობაში. დისტრუქცია  
მაქვს დასწერი სივარდლის თემზე.  
— რას მოთხოვთ ჩემგან?  
— მხოლოდ ერთი ღმე გამოათვინეო  
თქვენიანი. ბოლოს და ბოლოს ხომ უნ-  
და ვიცოდე რა არის სივარდლის  
— სწორედ დროელი დახმარება.  
ჩემს ქმარს ძალიან გუხმარდება თქვენი  
ნახვა. იგი ქირურგია და მუშაობს დი-  
სტრუქციაზე, როგორც ვალუარის და-  
ნინი ადამიანი. ისე რომ ერთი სასაყუ-  
დლო სიტყვაც არ მოუყვდეს.

**გიორგი კახიანი**

ბარბოლი უჯრ არ მოყვარია.  
თავი თავიდანვე უსკდებოდა ნივით და იმეგდეს  
ტონობით იძლეოდა.  
უჯრ კიდევ ორი წინა არა ჰქონდა ბოლომდე  
წაითხული, რომ აველფერზე წერის სალოარი ხე-  
ლოვების უჯრად აღეფიქრებოდა.  
რა საგნის რა საკითხი გინდა, რომელებდაც ბა-  
რიტონს არ შეეძლოს წერა, მაგრამ არ წერდეს.  
მასავით მრავალწინაგოიანი წერის პატრონი სა-  
მეც არ დაიბრუნა ჩემს ქალაქში.  
სხვათა შორის, ქუჩის ორი მიმდის, შეგეცოდებ-  
მა, გვიგინება კისრის მალეში აქვს მოლოლოთი, ისე  
აქანტურებს თავს მარჯვნივ და მარცხნივ, მაგრამ  
რა ქნას, ისეთი ვინ ჩავივლი, რომ მის რომელიმე  
სტრატეგ არ გივდებოდეს, ინფინერი, ენდა თუ  
ფილოლოგი, ავროლოგია თუ ფარმაცევტი, განიკო-  
ლოგი თუ ოკულტიკა... მთელი კულტურაგოლოგი-  
მა იქნება და ესაყვება.  
ზიარადად მე მისმა ლიტერატურულმა სტატეგებ-  
მა ვადაბრძა. რა საყოლიანო იქნებოდა, რომ ჩვენს  
დროში შედგებოდა კალამი არ ყოფილიყო გამოგო-  
ნილი. ბარბოლი კარლმარქსისთვის ასევე აბრე-  
ბი უბარბო კალამი თავა დაიწერებოდა!  
აი თქვენივე კი ბარბოლინსული სტატეგია ილაივ-  
და. ონენი სახელგანთი ილია 1907 წელს საზარბატი  
რეპუტაციის მალეშივე მკვინა თავში ნასწოლი. ქრეა-  
რული ტყვეთი ვაგებინეს.  
ბარბო არ შეგნა ხელი იმ დაქირავებულ  
ფილოლოგს—იმ სამეზის მამაბაბლს!

**ყველაფერი**

აღაბო დანაღლიანებულ გუნებზე იყო ჩვენი  
დასრული, როცა „ყველაფე“ დაწერა.  
ქვრივობაზე ებრალებოდა და შექმნა „ოთა-  
რისი“ კრებივი.  
კიდევ აქვს ნაწერები.  
დიდა დიდი ოლიის ვაშსახებრება ჩვენი საყუ-  
რული სოციალისტიკური სამუშაოს წინაშე.  
ილია 1837 წელს დაიბადა.  
სტატეგის სწორედ რომ ასეთი უნდა: სახარტი,  
ლაკონიკური, მრავალმნიშვნელო. ღრმა, მგზნებარე,  
სულმინარდობით. ამომწურავი და მარცხ ამოუხა-  
პავი, სტანდარტი კი არ იბრის. მე სხვათა და სხვა-  
თა სტატეგები წამიბეჭდეს, მაგრამ არც ერთი  
და ვაიწყებინა. მიღებობს ეც მამაცოვებლობი  
და ვაიწყებინა ამ წელს დაიბადა, ეს  
გაგათვია და, ერთ მშვენიერ ღღის, გარდაიცვ-  
ლოა. ეს ხომ მიწვევი ნაწერაობაა. ბარბოლი  
ის სტატეგია კი ორიგინალურია. იგი ვარადაც-  
ლებით იწყებს და დაბადებით ამთავრებს. ოპტი-  
მიზმიც ამაშია.

არც ესაა რთველი. რთველია, როცა დასაწერავად  
კრევენ ყურბენს. დასაწერავად მწიფე ყურბენს კრე-  
ვენ. ყურბენი შემოღობილად მწიფდება, და, აქი-  
ნად განმომდინარე, რთველი შემოღობილად.  
ქართველები ვერ დაგაფრენ ყურბენს და მერე  
წუხარებ. თუ მტვენი მავარე უფრეს აქვს, დანის  
უნდა მოკრა. ჰოდა, რაბან ჩვენში გვაზ უმეგდეს  
დროლიდანა, ჩვენს წინაპრებს დანაც უმეგდეს  
დროლიდან ქმინათ, და, მამასადავ, რკინე უდ-  
ნიათ...  
ამა უტყუარი დაღსებრება იმისა, რომ მეც-  
ნიერები ძალად ვეგებინებ გზა-კვალს. ბორბი და-  
თელოვებინათ ბარბოლითა ორი ამაპკით ხომ  
გადავარა კარდებინებთ პრობლემა.  
საგარბისა მისი სტატეგების სახელწოდებებში  
კი მამოვფალოთ, რომ მის, როგორც მრავალმ-  
ნიშვნელო გამოხატობის და ენოლოგიის მქონე მოლო-  
ლოგის წინაშე მოწმეობით გახეობილი...  
„ვირობათ, ვითარცა მინდორის მავნებელი“  
„გადადარბო ორსოვლობის მიზეზები“  
„მამალტის ქვა—სამწუნებლო მასალა“  
„მიწისქვეა—როგორც ბუნების უსამებოეო  
მოყვანი“  
... როგორც დავისალითი იონავა?  
და აქ შეგეგე და აქე აგებავო.  
თავიდანვე ვთქვი ხარბოლით თავი თავიდანვე  
უსწავლობდა-მეტიეო ჰკითხო.  
წარბოლიანობი, რომ ახლაც უსყვება.  
ხარბოლი 192... წელს დაიბადა.

**ბ. ბარბაძე**

# ზოჯა, ზეცა სიყვარული

## როგორ მივიღწიან ღაბები

სანატორიუმში «მერცხალი» ერთი კორპუსისა და ორი სართულსაგან შედგება. პირველ სართულზე ჩვენ ვისვენებთ. მალეა «ზამთრისა და უცხო პირთათვის ასევე აკრძალულია», რადგან ქალები ცხოვრობენ. სამაგიეროდ ჩვენი სართული ნეიტრალური ზონაა. გინდა იარე, გინდა იმღერე, ან კედლებს თავი ურტყი, კაცი ხმას არ გაგვეს.

ჩვენს ოთახს ფანჯრები აქვს. ერთ ფანჯარასთან, რომელიც ზღვას გადაყურებს, ნიკოს საწოლი დგას. თენგიზის ფანჯრიდან ინდუსტრიული პეიზაჟი იშლება.

ჩემს საწოლთან ფანჯარა არაა. სამაგიეროდ მე მაქვს კარადა, რომელშიც კბილის ფხვნილს და ჯავრის ვინახავ. ეს კარადა პალატაში ერთადერთია და მარტო მე მეკუთვინის. თენგიზი სააბნის ბალომქვე იხნახავს. ნიკო ძილის წინ პირსახორცს თავზე იკრავს.

ჩემს საწოლთან არის კედელი. კედლები თენგიზისა და ნიკოს საწოლებთანაც არის, მაგრამ ჩემს კედელზე შიშკინის დათვები თამაშობენ. ყოველ საღამოს, როცა ჩაის დალევეთ და დასაძინებლად გვწვებით, ამ დათვებზე გვაქვს ლაპარაკი.

ნიკო ამტკიცებს, რომ ეს სურათი არ არის რეალისტური, არამედ სიმბოლისტურია, რადგან დათვები ხეზე არ აღიან. ამას ადასტურებს ანდაზა: «დათვი ხეზე როგორ ავა, იავანინაო».

თენგიზმა თქვა, რომ დათვს ყველაფრის გაკეთება შეუძლია, დათვა ცეკვაც იცის და რა გასაკვირია ხეზე აღიოდეს.

— ხეზე ასვლა მეც ვიცი, — ვთქვი მე, — სოფელში გავრდილი კაცი ვარ, ერთხელ მეზობლის ბაღზე ავიბარე და ტოტები დავამტკრიე. პატრონმა დამიჭირა და ქამარი მირტყა, აი შე დათვოო.

თენგიზმა გაჩხენა, საზღვარგარეთულ რომანში წაშკივთხავს როგორ შეჭამეს დათვებმა ხეზე გასული კაციო.

— ისინი დათვები კი არა, მკლები იყვნენ, შეუსწორა ნიკომ, — და მეორეც, ხეზე კი არ შეუჭამიათ, არამედ ხის ძირში.

თენგიზმა დაასაბუთა, რომ ნიკო არ არის სწორი. მას ან სხვა რომანი წაუკითხავს და არ ახსოვს, ან ცუდი თარგმანი ჰქონია ხელთ, რადგან ზოგიერთ მთარგმნელს დათვი მგლად ეჩვენება.

ჩვენს სანატორიუმში არის ბიბლიოთეკარი, პინგ-პონგის მაგიდა, ბილიარდის ბურთები და შთაბეჭდილების წიგნი.

გვაქვს აგრეთვე კლუბი, სადაც ზოგჯერ ადგილობრივი ძალებით იმართება კონცერტი. ვინც სიმღერა არ იცის, იმათ ამღერებენ. ზოგი მონოლოგს კითხულობს, ზოგიც პიანინოს უკრავს. ჩვენ მხოლოდ ტაშს ვუკრავთ და ვიცინით, დანარჩენ დღეებში კლუბში «ჩხიკვა ქორწილია», ჩვენ «ქორწილზე» ვიარეთ და ყელში ამოგვივიდა.

სანატორიუმში «მერცხალი», როგორც მთლიანად აგარაკი, მწვანეშია ჩაფლული. მცენარეები აქ გადასარევი სისწრაფით იზრდება. ზამბუკზე რომ ქული დატოვო, ხუთი წუთის შემდეგ ვეღარ ნახავ. პლაჟზე, მართალია, არც ერთი მცენარე არ არის, მაგრამ ტანსაცმელს მაინც არ ტოვებენ.

ეს არ არის მთავარი. პლაჟზე მთავარია ზღვა. სადაც არ უნდა გაიხედო, ყველგან ზღვაა, შენი ნებაა, რამდენიც გსურს იცურე. წყალიც რომ ჩაყლაპო, ჯარიმას არავინ გადაგახდევინებს.

პლაჟი არის ფასიანი და უფასო. ფასიან პლაჟზეც იგივე მზე, ზღვა და ქვებია, რომლებზეც ხალხია დაყრილი. განსხვავება მხოლოდ ისაა, რომ ფასიან პლაჟზე შესვლა ღირს მანეთი.

ზღვაზე ათას რუბრის ხალხი დადის. მაგრამ მათი გამოცნობა ადვილია «სიშავის» მიხედვით. რუსეთიდან ჩამოსულები ზანგივით არიან გაშავებულები, თბილისელებს ბრინჯაოს ფერი გადაკრავთ. ადგილობრივი ხალხი თოვლივით თეთრია, მათ მზე არ ეკიდებათ და ჩემსავით ბევრმა ცურვაც არ იცის.

ყველაზე შორს და უკეთ ჩვენს შორის ლონდა ცურავს. ამას ყველა ვადიარებთ, რადგან ფაქტია: თენგიზმა თქვა, რომ ლონდას აქვს თავისებური და არაჩვეულებრივი სტილი. ასე მხოლოდ ფილიპინის კუნძულებზე ცურავენ. თვითონ თენგიზს სატრაბახო არაფერი აქვს. ნიკოც ცურავს, მაგრამ პირდაპირ კი არა, ნაპირის პარალელურად, როგორც ბავშვები და ხნიერი ქალები. მე წყალი არ მიყვარს, ვზავარ ხმელეთზე და «ავჩარკასავით» ტანსაცმელს ვდარაჯობ.

ზღვაზე ჩვენ ბევრი ნაცნობი გავიჩინეთ. მათ შორის თითქმის ყველა მამაკაცი იყვნენ. ნიკომ ამის გამო შეშფოთება გამოთქვა, თბილისში რომ ჩავალთ, თავი მოგვეჭრებაო. თენგიზმა დაამშვიდა, არხეინად იყავი, მაგ საქმის სპეციალისტი ვარ და მიყურე რას ვიზამო.

პლაჟზე ჩვენს მეზობლად ერთი ქალი ბანობდა, რომელიც ყველას მოგვეწონა. თენგიზმა თქვა, ეს არის, ვისაც ვეძებდიო და იმ ქალთან მივიდა.

— ბოდიში, ქალიშვილო, შეიძლება აქ ჩამოვჯდე?

- სიამოვნებით.
- თენგიზმა ამაყად გადმოგვხედა. მერე პაპიროსი გააბოლა.
- ჩვენ მგონი სადღაც გვინახავს ერთმანეთი, თუ არ ვცდები, ეს ოპერაში იყო «ოტელოზე». თქვენ მეორე რიგში იჯექოდ. თეთრი კაბა გეცვათ. სცენაზე ჰაბუკიანი ტყევადა. მას შავი მოსასხამი ჰქონდა. მერე კიკალიშვილმაც იცქვამა.
- შემდეგ როგორ იყო? — დაინტერესდა ქალი.
- შემდეგ წიგნაძე დაახრჩვეს და თქვენ ტაში დაუკარით, ბალეტი რომ დამთავრდა, ქუჩაში გამოდით და ტროლეიბუსების გაჩერებასთან მიხვედით, მაგრამ ავტობუსმა გამოიარა და იმაში ჩაჯექით. მე სახლში ტაქსით წავიდი.
- ძალიან საინტერესოა. თქვენ ლაპარაკი გეხერხებათ...
- მე ცურვაც ვიცი. თუ ზღვაში ჩამოხვალთ, გიჩვენებთ.
- არა, გმადლობთ, ახლა ამოვედი წყლიდან.
- თენგიზი მაინც არ შეეშვა.
- ვის უყურებთ ასე დაყინებით. შეხეთ, შეხეთ რა სასაცილოდ ფართან-ლებს წყალში ის უბედური!
- ის უბედური ჩემი ქმარი გახლავთ.
- ქმარი?
- დიახ, ქმარი! რა გაგიკვირდათ?!
- თქვენ, ალბათ, ბავშვებიც წამოიყვანეთ ზღვაზე.
- არა, ბავშვები წყნეთში არიან.



- თენგიზი წამოდა.
- კარგად იყავით.
- დაცაო, სად მიდიხართ, ჩემს მეუღლეს გაგაცნობთ.
- სიამოვნებით, მაგრამ სადღურში მაგვიანდება, ცოლი უნდა ჩამოვიდეს. ეს იყო სრული კრახი, რომელიც თენგიზმაც ვერ უარყო, როცა სიცხილი დაიწყო, გაბრაზდა და მითხრა, რომ მე მთელს კურორტზე, ძაღლების გარდა, არავის ვიცნობ. მე ვუბასუხე, რომ ამით კიდევაც ვამაყობ, რადგან ჩვენს კურორტზე ძალიან ბატონს ვერ ცნობს, მე კი არაფერს მეუბნება. დამით, ჩვენი სანატორიუმის წინ თუ დაჭირდა ვინმეს გავლა, ჩემთან მოდიან, გაგვაცილებო. მეც ვაცილებ. კაცის ფეხის ხმას გაიგონებს თუ არა, უზარმაზარი ნაგაზი ღრიალით გადმოვარდება ღობიდან. ამ დროს მე დაგუყვირებ: «ტარზან, ეს ჩვენი კაცია!» — და ტარზანიც კულის ქიციანთ აგვედევნება უკან.
- ახლა ძაღლებს შევუშვათ და საქმეს მივხედოთ.
- პლაჟიდან ვბრუნდებით სანატორიუმში და ვსადილობთ. სადილზე მოაქვთ ბორში, შნიცელი და დესერტად ტყემალი, რომელსაც სხვა რესპუბლიკებიდან ჩამოსული ხალხი ალუჩას ეძახის.
- სადილის შემდეგ ეწყობა ექსკურსიები, ცეკვა-თამაში და ტაშ-ფანდური. საღამოს დადგომას იმით ვგებულობთ, რომ ჩაიზე დაგვიძახებენ.
- შემდეგ მოდის ღამე. გვაღვიან ცაზე ყვითელი ნესვივით დაეკიდება მთვარე და ჩვენი სანატორიუმი ძილს მიეცემა.
- გაივლის რამდენიმე საათი. ძალა დაეკარება სიბნელეს, დგება განთიადი, ამოდის მზე და რადიოში იწყებენ დილის გამამხნეველი ვარჯიშის გადმოცემას.
- ასე მიდიან დღეები.

(გაგრძელება იქნება)

ა. სახსონია

# აპობიან, რმა

...ლოტკინისხეველებს და ლოტკინისგორელებს თურმე ერთხელაც ვერ წამოაცდენინებ, რომ თბილისი კეთილმოწყობილი ქალაქია, რადგანაც... 17 ნომერი ავტობუსი მხოლოდ 10 საათამდე მუშაობს და მერე კანონიერი ტრანსპორტი იმ უბანში წამლადც არ გაიქაჭანებს. ავტოტრანსპორტის მესვეურები ამბობენ, ეს იმიტომ კეთდება, რომ ასე გვიან მგზავრები აღარ არიან და გეგმა აღარ სრულდებაო. იმ მამაცნობებულებს ავიწყდებათ, რომ ტრანსპორტი, უპირველესად, ადამიანებისათვისაა და არა გეგმისათვის. და, მერე, გეგმა თუ არ სრულდება, ამაში თვითონ არიან დამნაშავენი, ბილეთის თითო-ორილა „ჭირვეულ“ მგზავრს თუ მიჰყუდიან, ბილეთის საფასურს კი ჩუმად იღებენ ჯიბეში და გეგმას აბა რომელი მამა გაბრიელი შეუსრულდება? თუმცა არ შევცდავთ, თუ ვიტყვით, რომ ამას მგზავრებიც უწყობენ ხელს რატომღაც.

ტალახი ქუჩებში ასარჩევად: გინდა მარჯვნივ შეტოპე და გინდა მარცხნივ. კაცი ამ უბანში სასწრაფო დახმარების ხმისმიუწვდენლად ისე გაფიქრებს ფეხებს. რომ შენი მოწონებული. ამ მოკლე ხანში სამ მოქალაქეს წაუღია თქვენი ჭირი პირველი დახმარების გარეშე... კავშირგამოუღობის მუშაკებს ჰგონიათ, რომ ტელეფონი მხოლოდ პაემანის დასანიშნავად გამოიგონა ცხოვრებულმა ელისონმა და ლოტკინელები უპაემანოდაც იოლას წავლენო...

პურს იქ ვერ იშოვი და ნავთს... ქუჩები მოუნათლავია და ცხოვრობს ხალხი უმისამართოდ. ჰოდა, უმისამართო მოსახლეობის მობარაგება წესდებაში არა წერიაო.



ნახ. ზ. ლევადახი კომისიის მოლოდინში  
— რამდენი ხანი უნდა ვიყოთ ამ სისუფთავეში, როდის მოვა კომისია?



ნიგნის ბაყილკალი  
— არა გრცხვენია ამხელა კაცი ხარ და წიგნს იპარავ?  
— აბა პატარა ბავშვმა რა იცის წიგნის ფასი!  
ნახ. ზ. ნიჟარაძისა

# შეათხვეპა მ ლოტკინი

**სურათი პირველი.**  
სადარბაზო შესასვლელთან ახალგაზრდა ქალ-ვაფი კითხულობს კედელზე გაკრულ აბრებს, რომლებზეც ჩვეულებრივი წარწერებია:

„საქაეტყედაშადმრეწვი“  
„რაიონული პროკურატურა“  
„მმაჩის ბიურო“  
„გაზეთ „ახალი სხივის“ რედაქცია“.

**სურათი მეორე.**  
რედაქცია. რედაქტორი სავარძელში. ჩვენთვის ნაცნობმა ახალგაზრდამ კარებში თავი შემოყო, მერე მორიდებით შემოვიდა და კარებთან გაჩერდა. რედაქტორი შამოდგა და სკანზე მიუთითა:

— მობრძანდით, გამარჯობათ! დაბრძანდით... მე თქვენი ნაწარმოები წავიკითხე. არ უნდა იყოს ცუდი. არის ერთგვარი მონაცემები, მარცვალი! გესმით? მე განსაკუთრებით მონწონს, ახლავე დაგისახელებთ... რად აღექით?... ოლონდ ზოგიერთი ადგილი ვაკინანურებულა. თქვენ უსათუოდ გაქვთ მხატვრის თვალი და კალმის ერთი მოსმით დეტალების ხატვაც გეხერსებათ. ოლონდ დაბეჭდვაზე ჯერჯერობით თავს შევიკავებთ. მოითმინეთ. მოითმინეთ, გული კი არ გაიტეხოთ, არ გეგონოთ, რომ ასე ადვილად გკრათ ხელი. კიდევ მოიტანეთ ამგვარი პატარ-პატარა ნაწარმოებები, შემდეგ ნომერში აუცილებლად დაბეჭდავთ! შემოიარეთ პარასკევს, მანამდე დამირეკეთ. ახლა თქვენ ბრძანეთ, რას გვეტყვიან?..

— ბოდიში, რედაქცია ყოფილა. მე მმაჩის ბიუროს დავეძებდი. ეპილოგი. გარეთ, დერეფანში. ახალგაზრდა ქალი ვილაცას მღელვარებით ელოდება.

**რ. მამულაშვილი**

რედაქტორი—ელგუჯა მადრაძე. სარედაქციო კოლეგია: აკ. ბელიაშვილი, ნ. დუმბაძე, ხ. კლდიაშვილი, ნ. მალაზონია, მ. ქარჩავა, თ. ჭელიძე. ხაქ. კვ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობა


თბილისი. სატირისა და იუმორის ჟურნალი „ნიანგი“. Тбилиси. Сатирико-юмористический журнал „Ниянги“. რედაქციის მისამართი: ლენინის ქ. № 69. ტელეფონები: რედაქტორის—3-76-69, საერთო განყოფილების—2-13-29.

გამომც. № 3. ხელმოწ. დასახ. 21/1-1959 წ. ქალ. ზომა 70x108 1/8, 0,5 ნაბ. ფურც. 1,37. პოლიგრაფკომბინატი „კომუნისტი“, ლენინის ქ. 14. ავტორებს ხელნაწერები არ უბრუნდებათ. შეკვ. № 51. უფ. 00814. ტირ. 40.000.

1  
1959

ნან. ნ. მაღალაშვილი

საბავშვო  
ლიტერატურა



საბავშვო ჟურნალის დიდი მესაქე, ბევრ მუშაობარ ბრძოლის მხახველი,  
ბუნების ძალით მესაიდუძლე, შორი კოსმოსის კადამლახველი —  
შთან მომავლის დასაკეძევი კვლავ შეიკრებს ზარტის გული,  
როცა დახუნძლა რეპილმა ნაყოფმა სერგი ორმოც წლის წინათ დარკული.